1	მოსავლელი გზის საფარის რაოდენობა გრძივი მეტრში	1855 გრძ/მ	3704 გრძ/მ	2687 გრძ/მ	1017 გრძ/მ	მიმდინარეობს ცდომილების მაჩვენებელში მითითებული გრძივი მეტრების ათვისება.
ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი)		02 01 02	გზების მშენებლობა რეაბილიტაცია			
ქვეპროგრამის გამახორციელებელი		ინფრასტრუქტურის და ეკონომიკური განვითარების სამსახური				

პროგრამის აღწერა და მიზანი		ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული გზების ხარისხიანი შენარჩუნება, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის ასფალტის გზის გზის საფარი დღეის მდგომარეობით ნაწილობრივ არის დაზიანებული, პროექტის მიზანია განხორციელდეს გზის დაზიანებული საფარის ორმოული შეკეთება, ასევე წლის განმავლობაში დაზიანების შემთხვევაში ოპერატიულად განხორციელდეს გზის სავალი ნაწილის მონიშვნა ნიშანსაღები საღებავით, მიწის ვაკისის მომანდაკება ავტოგრეიდერით, ზზარების ამოყვება ა/ზ ნარევით, მოთხოვნის შემთხვევაში აუცილებლობიდან გამომდინარე სიჩქარის შემზღუდველი ზარიერების და საგზაო ნიშნების მოწყობა.				
დაგეგმილი შუალედური შედეგი		გზის საფარის მდგომარეობის შენარჩუნება	მიღწეული შედეგი	955 მ3 ორმოული შეკეთება ცხელი ასფალბეტონით 5-7 სმ სისქით, ფრაქციული ღორღით გზების მოხრეშვა, გაბიონების მოწყობა არმირებული ბეტონის მილის მოწყობა დ=1 მ დიამეტრის 6გ/მ, 1136მ2 გზის ორმოული შეკეთება		
				მონიშვნა, გზებზე 233,25 ტონა ქვიშა მარილის მოყრა.		
დაგეგმილი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორი		განმარტება	
№	მოსალოდნელი შედეგის შეფასების ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა)	
1	მოსავლელი გზის საფარის რაოდენობა გრძივი მეტრში	1855 გრძ/მ	3704 გრძ/მ	2687 გრძ/მ	1017 გრძ/მ	მიმდინარეობს ცდომილების მაჩვენებელში მითითებული გრძივი მეტრების ათვისება.

1.2. სასმელი წყლის სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაციისათვის (0202) 2023 წელში გამოყოფილია 3649,2 ათასი ლარი, საიდანაც ფაქტიურად დახარჯულია 3230,4 ათასი ლარი ანუ 88,5%

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფლების სასმელი წყლის სათავე-ნეგეობის რეაბილიტაცია და ახალი წყალმომარაგების სისტემით უზრუნველყოფა;

2023 წელში დმანისის მუნიციპალიტეტის სოფლებში მიმდინარე სამუშაოების დასრულების შემდეგ ბენეფიციარები მიიღებენ აღნიშნული პროექტებით განხორციელებული სარგებელს, კერძოდ:

- სოფელ კამარლოში ახალი რეზერვუარის მოწყობა 245 კუბ.მ
- სოფელ ირგანჩაიში სამარაგო რეზერვუარის მოწყობა 450 კუბ.მ
- სოფელ დაგარახლოში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია 300 კუბ.მ
- დაწყებულია დმანისის მუნიციპალიტეტის 19 სოფელში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია;
- სოფელ იფნარის წყლის სისტემების მაგისტრარული ხაზის, ახალი რეზერვუარის და შიდა ქსელის და ჭაბურღილის მოწყობის სამუშაოების 4000 მეტრის მილსადენის და რეზერვუარის 230 მ3 მოწყობა.
- წყაროდან წყლის მიწოდება ლოქჭანდრის საზღვრამდე
- სოფელ კიზილაჯლოს წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია.

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	წყლის სისტემების ექსპლუატაცია (მოვლა-შენახვა)	წყლების მოვლა-შენახვა
------	-------------------------	---	-----------------------

02 02 01	ა	პროგრამის განმახორციელებელი	სივრცითი მოწყობის და ინფრასტრუქტურის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქალაქ დმანისსა და 5 ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ 12 სოფელს ემსახურება შპს „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“, რომელიც ახორციელებს სასმელი წყლის სისტემების სარეაბილიტაციო სამუშაოებს, კერძოდ: არსებული წყლის სისტემის მაგისტრალის გაწმენდას, სასმელი წყლის რეზერვუარების გაწმენდასა და სპეციალური ხსნარით დაქლორვას, ასევე დაზიანებული ხაზების აღდგენას.</p> <p>ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის დანარჩენ 10 ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალ სოფლების ადგილობრივი დანიშნულების წყალმომარაგების ქსელის გამართულ და შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფას, სოფლებში წყლის სათავე-ნაგებობების, რეზერვუარების, შიდა-საუბნო და ცენტრალური ქსელების გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული დაზიანებული ადგილების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებას და შესაბამისი დოკუმენტაციის მოზადებას, რაც მიზნად ისახავს სოფლის მოსახლეობის, ასევე მოაგარაკებისა და ტურისტებისათვის უწყვეტ რეჟიმში სასმელი წყლით მომარაგებას. აღნიშნულ წყლის სისტემებს, მათ შორის მუნიციპალიტეტის სოფლებში არსებულ ჭაბურღილებს ემსახურება ააიპ დმანისის „სერვის ჯგუფი“, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება დაზიანებული წყლის სისტემების აღდგენა და მოვლა- შენახვა. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება და ფინანსდება შემდეგი ღონისძიებები:</p> <ul style="list-style-type: none"> - მწყობრიდან გამოსული წყლის მილების შეკეთება და გამოცვლა, სასმელი წყლის ბასინების გაწმენდა- დაქლორვა. <p>ქვეპროგრამის დაფინანსების წყაროა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები, რომელიც გაიცემა ააიპ დმანისის „სერვის ჯგუფი“-ს სუბსიდიებიდან.</p>		
საბოლოო შედეგი	ადგილობრივი დანიშნულების წყალმომარაგების ქსელის გამართულ და შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფას, წყლის სისტემების გაუმართაობის დროული აღმოფხვრა და უწყვეტ რეჟიმში ექსპლუატაციის უზრუნველყოფა.		

ბ.ბ) სასმელი წყლის სისტემის მშენებლობა/რეაბილიტაცია

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	წყლის სისტემების მშენებლობა	
02 02 02		პროგრამის განმახორციელებელი	სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში სოფლების წყალმომარაგების და წყლის სისტემის გამართულად ფუნქციონირების მიზნით მოხდება წყალსადენის სისტემების მოწყობა-რეაბილიტაცია. საჭიროებისამებრ ძველი, ამორტიზირებული სისტემების აღდგენა და ახლის მშენებლობა.</p> <p>საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დმანისის მუნიციპალიტეტისათვის გამოსაყოფი თანხების თანადაფინანსება:</p> <p>“სოფელ იფნარის მაგისტრარული ხაზის, ახალი რეზერვუარის, შიდა ქსელის და ჭაბურღილის მოწყობისთვის- 29554 ლარი, ხოლო სოფელ დაგარახლოს წყალმომარაგების სისტემების რეაბილიტაცია/მშენებლობისთვის 23197 ლარი. სულ 52751 ლარი.</p> <p>დმანისის მუნიციპალიტეტის ქ.დმანისში და 19 სოფლის წყალმომარაგების სისტემის მოწყობის და სათავე ნაგებობების მშენებლობისათვის 15%-იანი თანადაფინანსების სახით გამოყოფილი 1200.0 ათასი ლარი.</p>		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტში მდგრადი სასმელი წყლის სისტემის შექმნა და შეუფერხებელი მიწოდება		

დაგეგმილი შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგების ინდიკატორი		განმარტება
ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი	
პროექტების რაოდენობა	7	7	7	0	2023წელს მიმდინარეობს დასრულება

1.3 კაპიტალური დაზანდებები გარე განათების სფეროში.

გ) -სოფელ განთიადიდან ქ.დმანისამდე გარე განათების მოწყობა-

კოდი	პროგრამის დასახელება	გარე განათება
02 03		

<p>პროგრამის აღწერა და მიზანი</p>	<p>დამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილებისა და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გამართულ გარე განათების ქსელის ფუნქციონირებას. პროგრამის ფარგლებში ფინანსდება გარე განათების სისტემის განვითარებისა და ექსპლუატაციისათვის საჭირო პროექტები. დღეის მდგომარეობით დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქალაქ დმანისში და 15 ადმინისტრაციულ ერთეულში (დასახლებულ პუნქტებში). გარე განათების ქსელით მოცულია მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის 70%. გარე განათების ქსელი მოიცავს 3441 ზე მეტ განათებისა და ელექტროგაყვანილობის ბოძს, 3441-ზე მეტ სანათ წერტილს, 30514 გრძივ მეტრზე სადენს და სხვა დამხმარე ინფრასტრუქტურას. პროგრამის მნიშვნელოვანი ნაწილი (დაახლოებით 120,0 ათას ლარი ყოველწლიურად) ხმარდება მოხმარებული ელექტრენერჯის ანაზღაურებას. გარე განათების პროგრამა შინაარსის ტიპის მიხედვით არის როგორც კაპიტალური / ინფრასტრუქტურის ხასიათის, ასევე მომსახურების. კაპიტალური ნაწილი მოიცავს გარე განათების ქსელის გაფართოება- გაუმჯობესების ღონისძიებებს, ხოლო მომსახურების ნაწილი - გარე განათების არსებული ქსელის ექსპლუატაციას (მათ შორის მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურებას). პროგრამა შედგება 2 ქვეპროგრამისაგან. ესენია: გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია,კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში. ხანგრძლივობის მიხედვით, ექსპლუატაციის ნაწილში პროგრამა არის მუდმივმოქმედი, ხოლო ინფრასტრუქტურულ ნაწილში- მრავალწლიანი. ექსპლუატაციის ხარჯების დაფინანსება ხორციელდება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებიდან და კაპიტალური დანახარჯებიდან. გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობის ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულის გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირებისათვის ხორციელდება მისი პერიოდული შეკეთება, რომელიც მოიცავს: - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწყობრიდან გამოსული ნათურების გამოცვლას; - ამორტიზებული და დაზიანებული განათების ბოძების შეკეთება, ახლით ჩანაცვლებას; - დაზიანებული სადენების აღდგენა, შეკეთებას.</p>
<p>მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდგრადი განათების სისტემის შექმნა, რომელიც მთელი წლის განმავლობაში, ნებისმიერ კლიმატურ პირობებში, შეძლებს უზრუნველყოს გარე განათების სისტემის შეუფერხებელი ფუნქციონირება.</p>

დაგეგმილი შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგების ინდიკატორი		განმარტება
ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი	
პროექტების რაოდენობა	2	2	2	0	

გ.ა) გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია (მოვლა-შენახვა)
02 03 01		

ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა) იპ დმანისის „სერვის ჯგუფი“
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული 4070 სანათი წერტილის გარე განათების ქსელის მოვლა-პატრონობის ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულის გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირებისათვის ხორციელდება მისი პერიოდული შეკეთება, რომელიც მოიცავს: - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწყობრიდან გამოსული ნათურების გამოცვლას; - ამორტიზებული და დაზიანებული განათების ბომბის შეკეთება, ახლით ჩანაცვლებას; - დაზიანებული სადენების აღდგენა, შეკეთებას. ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება 7 საშტატო ერთეულის ხელფასები.
მოსალოდნელი შედეგი	გარე და დეკორატიული განათების სისტემაში პერიოდულად შექმნილი შეფერხების დროული აღმოფხვრა განათების სისტემის გამართული ფუნქციონირებისთვის.

დაგეგმილი შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგების ინდიკატორი		განმარტება
ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი	
პროექტის რაოდენობა	2	2	2	0	

გ.ბ) გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის გადასახადი

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის გადასახადი	ელექტრო ენერჯის ხარჯი
02 03 02			

ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	დმანისის მუნიციპალიტეტის მერია
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა მოიცავს გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის ხარჯის ანაზღაურებას.
მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის მიზანია გარე განათების სისტემის გამართული ფუნქციონირება, სანათების რეაბილიტაციის და კონტროლის ხარჯზე ერთი სანათის მიერ დახარჯული კილოვატ/სანათი ელექტრო ენერჯის შემცირება, რაც შესაბამისად გამოიწვევს ხარჯის შემცირებას.

დაგეგმილი შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგების ინდიკატორი		განმარტება
ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი	
თანხობრივი რაოდენობა(ათას ლარებში)	240,0	320,0	281,0	39,0	

გ.გ) კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში.

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	კაპიტალური დაბანდებები
02 03 03	კაპიტალური დაბანდებები გარე განათების სფეროში	

ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>კაპიტალური ნაწილი მოიცავს გარე განათების ქსელის გაფართოება/ გაუმჯობესების ღონისძიებებს, როგორც არის გარე განათების სისტემების მოწყობა, ახალი სანათი წერტილების დამატება, გარე განათების ახალი თანამედროვე ინფრასტრუქტურის მოწყობა მუნიციპალიტეტის უბნებში და სხვა. ხანგრძლივობის მიხედვით, ინფრასტრუქტურულ ნაწილში - მრავალწლიანი. პროგრამის დაფინანსების წყაროა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარი შემოსულობები და სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი (ძირითადად სოფლის პროგრამა).</p> <p>საქართველოს რეგიონალური განვითარების ფონდიდან გამოყოფილი თანხების ფარგლებში მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლებიდან თანადაფინანსებით გათვალისწინებულია 84552 ლარი მუნიციპალიტეტის სოფელ განთიადიდან ქ.დმანისამდე გარე განათების მოწყობისთვის.</p>
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდგრადი განათების სისტემის შექმნა

დაგეგმილი შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგების ინდიკატორი		განმარტება
ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი	
პროექტის რაოდენობა	2	2	2		დასრულდება პროექტი 2023 წელს

1.4. მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლუატაცია და რეაბილიტაციისათვის 2023 წლის განმავლობაში დაგეგმილია 3144,8 ათასი ლარის სამუშაოები, ფაქტიურად შესრულებულია 2206,5 ათასი ლარი ანუ 70,2%, მათ შორის მიმდინარეობს შემდეგი პროექტების განხორციელება:

- სოფელ გომარეთში კულტურის ცენტრის მშენებლობა- მიმდინარეობს.
- ქ.დმანისში ვაჟა ფშაველას ქუჩაზე არსებული დარბაზის სახურავის რეაბილიტაცია.
- მერიის შენობის საოფისე ფართის მოწყობის სამუშაოებისთვის .
- ქ.დმანისში ყოფილი ბიბლიოთეკის შენობაში სათნოების სახლისთვის შენობის რეაბილიტაცია .
- ქ.დმანისში 9 აპრილის ქუჩა N167 სერვის ჯგუფის სამსახურის შენობის რეაბილიტაცია-მიმდინარე.
- სოფელ ირგანჩაიში სარიტუალო დარბაზის მშენებლობა-მიმდინარე.
- სოფელ გომარეთის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია.
- სოფელ განთიადში ხანძრის შედეგად დაშვარი საცხოვრებელი სახლის აღდგენა.
- სოფელ განთიადში საჭიდაო დარბაზის რეაბილიტაცია-მიმდინარე.

დ) ბინათმშენებლობა

კოდი	პროგრამის დასახელება	ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაცია
02 04		

პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური
პროგრამის აღწერა	<p>პროგრამა ითვალისწინებს დმანისის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების მიმდინარე და კაპიტალურ შეკეთებას, ხოლო ქალაქ დმანისში არსებული მრავალბინიანი კორპუსების სახურავების და ფასადების რეაბილიტაცია; ასევე გათვალისწინებული იქნება ავარიული ობიექტების და შენობის აღდგენა-რეაბილიტაცია, რითაც თავიდან ავიცილებთ მოზინადრეთა უსაფრთხოების ამაღლებას. პროგრამა ითვალისწინებს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კეთილმოწყობას და მოსახლეობისათვის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სახურავების რეაბილიტაცია, თასლიების მოწესრიგება. მონივიპალიტეტის ტერიტორიაზე აღრიცხულია 30 მრავალბინიანი</p>

	საცხოვრებელი სახლი, აქედან ქალაქ დმანისში არის 23 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, აღნიშნული სახლების 95%-ის ფასადები საქიროებს რემონტს. სახურავის რეაბილიტაცია ჩაუტარდა ქალაქ დმანისის 22 მრავალბინიან საცხოვრებელ სახლს, დარჩენილია მხოლოდ ერთი სარეაბილიტაციო სახურავი. სოფლებში არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავები კარგ მდგომარეობაშია და არ საქიროებს რეაბილიტაციას.
პროგრამის მიზანი	მრავალბინიანი სახლების მობინადრეთათვის უსაფრთხო, გაუმჯობესებული და კომფორტული საცხოვრებელი გარემოს შექმნა

დაგეგმილი შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგების ინდიკატორი		განმარტება
ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი	
პროექტების რაოდენობა	9	8	8	0	

და) ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული შენობების ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია
02 04 01		

ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობების კეთილმოწყობა</p> <p>ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული ადმინისტრაციული შენობების კეთილმოწყობა და კომფორტული სამუშაო გარემოს შექმნა. რეაბილიტაცია, სახურავების შეცვლა/შეკეთება, ფასადის რეაბილიტაცია, ცენტრალური გათბობის მოწყობა და სხვა.</p> <p>საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოსაყოფი თანხების თანადაფინანსებაზე სულ 82031 ლარი, მათ შორის: სოფელ გომარეთში კულტურის ცენტრის მშენებლობაზე 53230 ლარი, ხოლო ვაჟა ფშაველას ქუჩაზე არსებული დარბაზის სახურავის რეაბილიტაციაზე 28801 ლარი.</p>

დაგეგმილი შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგების ინდიკატორი		განმარტება
ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი	
ბუნეფიციართა რაოდენობა	9	8	8	0	2023 წელს დასრულდება.

1.5. საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია(0205) 2023 წელში დაგეგმილია 1726,7 ათასი ლარი ფაქტიურად ათვისებულია 1104,0 ათასი ლარის სამუშაოები ანუ 63,9%,კერძოდ:

- ქ.დმანისში წმ.ნინოს ქ N35-ში მდებარე სკვერის მოწყობა-
- ქ.დმანისში არსებული მონუმენტის რეაბილიტაცია-
- ქ.დმანისის შემოსასვლელში სადროშის მოწყობა-
- ქ.დმანისის შემოსასვლელში ცენტრარულ გზაზე გმირი დედის ძეგლის რეაბილიტაცია -
- ქ.დმანისში არსებული სასაფლაოს შემოღობვა-

-დიდი დმანისი,გომარეთი,ზედიანის გზის 0 კმ-ზე „მე მიყვარს დმანისი“წარწერის მოწყობის სამუშაოები დასრულდა.

-ქ.დმანისში გორგასლის ქN1-ში მდებარე სკვერის მოწყობა, სოფელ ზემო კარაბულახის სკვერის და სპორტული მოედნის მოწყობა და სოფელ ამამლოში სკვერის -სპორტული მოედნის მოწყობა დასრულდა.

კოდი	პროგრამის დასახელება	კეთილმოწყობის ღონისძიებები საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა -რეაბილიტაცია
02 05		

პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური
პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერებისა და პარკების, დასასვენებელი ადგილების მოვლა და საჭიროების შემთხვევაში მათი რეაბილიტაცია და აგრეთვე ახალი სკვერების, პარკების და დასასვენებელი ადგილების მოწყობა, მოსახლეობისათვის ფუნქციონალურად გამართული დასვენების და გართობის ადგილების შექმნის მიზნით. საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოსადგელების აღდგენა, საფეხმავლო გზებზე დაზიანებული ბორდიურების და ფილების ამოცვლა, ქალაქში ხიდეებზე მოაჯირების და ბორდიურების შეღებვა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სკვერების მოწესრიგება პროგრამით ფინანსდება ქვეპროგრამა სკვერები და მინისპორტული მოედნების მოწყობა. პროგრამა ფინანსდება როგორც ადგილობრივი ბიუჯეტით ასევე სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი დაფინანსებით.
მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობა,მოსახლეობისათვის ფუნქციონალურად გამართული დასვენების დაგართობის ადგილების შექმნა,შედეგად კეთილმოწყობილია მუნიციპალიტეტი დამოსახლეობას აქვს დასვენების და გართობის ზონა.

დაგეგმილი შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგების ინდიკატორი		განმარტება
ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი	
პროექტების რაოდენობა	9	8	8	0	2023 წელს მიმდინარეობს დასრულება

გ.ა) საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა- რეაბილიტაცია

საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა, რეაბილიტაცია,
ექსპლუატაცია

ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	<p>პროგრამა ითვალისწინებს დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიებზე საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობას კერძოდ მინი სტადიონების, სკვერების და დასასვენებელი პარკების თანამედროვე სტილის ატრაქციონებით უზრუნველყოფას. მუნიციპალიტეტის მასშტაბით არსებობს 18 მინი-სტადიონი, აქედან რეაბილიტირებულია 8 მინი-სტადიონი. ასევე 8 სკვერი (სოფელ მაშავერას, სოფელ დიდი დმანისი-ვარდისუბნის, სოფელ განთიადის, სოფელ ჯავახის, სოფელ გომარეთის და ქალაქის 3 სკვერი). ასევე მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლებიდან ხორციელდება 5 სკვერის დასპორტული მოედნის მოწყობა -რეაბილიტაციის დასრულება,რაზეც დაიხარჯება 334798 ლარი.</p> <p>საქართველოს რეგიონალური განვითარების ფონდიდან გამოყოფილი სოფელ ბოსლებში სკვერის მოწყობის სამუშაოებისათვის მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლებიდან თანადაფინანსებით 11845 ლარი.</p>

მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის დასვენებისა და ჯანსაღი სხოვრებისათვის საჭირო გარემოს შექმნა
--------------------	---

დაგეგმილი შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგების ინდიკატორი		განმარტება
ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი	
პროექტების რაოდენობა	9	5	5	0	2023 წელს მიმდინარეობს ზოგიერთი პროექტის დასრულება.

1.6. სოფლის მხარდაჭერის პროგრამა.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი სახის სამუშაოები:

-სასმელი წყლის სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაცია 7 სოფელში.

-გარე განათების მოწყობის სამუშაოები-18 სოფელში.

-საზოგადოებრივი სივრცეების კეთილმოწყობის სამუშაოები-7სოფელში, ხოლო სხვადასხვა კეთილმოწყობის სამუშაოები 16 სოფელში.

-გზების მშენებლობა-რეაბილიტაციის და მოხრეშვის სამუშაოები სანიაღვრე არხების მოწყობით 11 სოფელში

კოდი	პროგრამის დასახელება	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა
02 06		

პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური
პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურის, მერისა და მერის წარმომადგენლების ჩართულობით იგეგმება და ხორციელდება სოფლის მოსახლეობასთან შეხვედრები, შემდგომ მათი მოთხოვნების შესაბამისად ჩამოყალიბებული პრიორიტეტების გათვალისწინებით ხორციელდება საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება და იგეგმება ინფრასტრუქტურული სამუშაოები; მათ შორის: -გარე განათების მოწყობისა და რეაბილიტაციის პროექტები-18 სოფელში; -სასმელი წყლის სისტემების და წყაროების მოპირკითხვის და რეაბილიტაციის სამუშაოები 7 სოფელში; გზის მოხრეშვისა და სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია-გზების მშენებლობა რეაბილიტაცია 11 სოფელში; სოფლის სასაფლაოების შემოღობვა,სკვერების და სპორტული მოედნების მოწყობა-რეაბილიტაცია სოფელში და ერთ სოფელში წისკვილისათვის შენობის მშენებლობა 23 სოფელში.
პროგრამის მიზანი	სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ინფრასტრუქტურული პირობების გაუმჯობესება

დაგეგმილი შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგების ინდიკატორი		განმარტება
ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი	
პროექტების რაოდენობა	59	59	47	12	12 სოფელში მიმდინარეობს დაწყებული პროექტების

ზ) საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება და საექსპერტო მომსახურება.

კოდი	პროგრამის დასახელება	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურების შესყიდვა
02 07		

პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური
პროგრამის აღწერა	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში განსაზღვრული ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა. ამასთან, იმ ხელშეკრულებებზე რომელთა ღირებულება არ აღემატება 50.0 ათას ლარს პროექტის შემდგენი ახორციელებს შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზას. ამ პროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება 50.0 ლარზე მეტი თანხის ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური ზედამხედველობის (საექსპერტო მომსახურების) სამუშაოების შესყიდვა.</p> <p>პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის დროულად და კვალიფიციურად მოხდეს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. ასევე, პროექტების განხორციელებისას ჩატარებული სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფა მათზე მუდმივი ზედამხედველობის განხორციელების გზით.</p> <p>პროგრამის თანხების განკარგვა ხორციელდება რეგიონალურ დონეზე ჩატარებული კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით.</p>
პროგრამის მიზანი	ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა

დაგეგმილი შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგების ინდიკატორი		განმარტება
ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი	
პროექტების რაოდენობა	32	22	22	0	

დასუფთავება და გარემოს დაცვა

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 1570,0 ათასი ლარი, მათ შორის დასუფთავება და ნარჩენების მართვის 1510,0 ათასი ლარი. დასუფთავება და გარემოს დაცვის პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

პრიორიტეტებისა და მათში შემავალი პროგრამების/ღონისძიებების დასახელება		2023წ ლის ფაქტი	შესრულ, % გეგმასთან
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	1554,0	99
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	1494,8	99
030 101	ა(ა)იპ დმანისის მუნიციპალიტეტის „სერვის ჯგუფი“	1494,8	99
03 02	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	0,0	0
03 03	კაპიტალური დაზანდებები დასუფთავების სფეროში	0	0
03 04	უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები	0	0

კოდი	პროგრამის დასახელება	დასუფთავება და გარემოს დაცვა
03 01		

პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ დმანისის „სერვის ჯგუფი“
პროგრამის აღწერა	<p>დმანისი მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მიზნით მუნიციპალიტეტი ნაყოფიერად თანამშრომლობს მუნიციპალური განვითარების ფონდთან, რომლის ფარგლებშიც მუნიციპალური განვითარების ფონდის სესხით განხორციელდა ნაგვის ურნების შექმნა. ასევე, მუნიციპალიტეტს გადმოეცა ნაგავმზიდი მანქანები. დასუფთავების ღონისძიებებთან დაკავშირებული კაპიტალური ხარჯები ძირითადად გაიწევა მუნიციპალური ბიუჯეტის არასაკუთარი შემოსავლებიდან (სესხი, სახელმწიფო ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერი), ხოლო მიმდინარე ხარჯები, ისეთი როგორცაა ყოველდღიურად ნარჩენების მოგროვება და გატანა ნაგავსაყრელ პოლიგონზე ფინანსდება მუნიციპალური ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლებიდან, კერძოდ დასუფთავება და ნარჩენების გატანის პროგრამიდან.</p> <p>პროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ -დმანისის მუნიციპალიტეტის „სერვის ჯგუფი“ ახორციელებს ქალაქისა და მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციული ერთეულებიდან ნაგვის ნარჩენების მოგროვებას და გატანას, რომელსაც ემსახურება 3 ერთეული ნაგვის გამტანი ავტომობილი. სამუშაოები ხორციელდება მუნიციპალიტეტის ქალაქში და სოფლებში. რომლის გატანაც ხდება ქალაქ ბოლნისში არსებულ სპეციალურ ნაგავსაყრელზე.</p> <p>პროგრამისთვის გამოყოფილ ასიგნებები ასევე მოიცავს ა(ა)იპ - დმანისის მუნიციპალიტეტის „სერვის ჯგუფი“ ადმინისტრაციულ ხარჯებს, მათ შორის, ხელშეკრულებით აყვანილ პერსონალის ხელფასებს.</p>
პროგრამის მიზანი	მუნიციპალიტეტში სუფთა და ჯანსაღი გარემოს პირობების არსებობა

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	დასუფთავება და ნარჩენების გატანა
03 01 01		

ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ დმანისის „სერვის ჯგუფი“
ქვეპროგრამის აღწერა	<p>პროგრამის ფარგლებში ააიპ „დმანისის მუნიციპალიტეტის „სერვის ჯგუფი“ ახორციელებს ქალაქსა და მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციულ ერთეულებიდან ნარჩენების მოგროვებას და გატანას, რომელსაც ემსახურება ერთეული ნაგვის გამტანი ავტომანქანა და ნარჩენების გატანა (კონტეინერები დაცლა) ხორციელდება ქალაქ დმანისიდან და მუნიციპალიტეტის 43 სოფლიდან შეგროვებული ნარჩენები გადის ქალაქ ბოლნისის ნაგავსაყრელზე მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჯამში განთავსებული კონტეინერების რაოდენობ შეადგენს 650 ერთეულს, მათ შორის 172 განთავსებულია ქ.დმანისში და 47 მუნიციპალიტეტის სოფლებში. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი ტერიტორიიდან ყოველდღიურად გადის დაახლოებით 34 მ/კუბ ნარჩენი, ზაფხული სეზონზე საგრძნობლად იზრდება გატანილი ნარჩენის მოცულობა. პროგრამი ფარგლებში ხორციელდება 78 000 მ² ქუჩებისა და 24 180მ² სკვერების დასუფთავება; პროგრამიდან ფინანსდება მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობი ორგანოების ადმინისტრაციული შენობისათვის შესაბამისი მომსახურეობის გაწევა და სხვა სამუშაოების შესრულება. პროგრამის ფარგლებში ქ.დმანისში, მიმდებარ სოფლებში ხორციელდება ქუჩებისა და ტროტუარების დასუფთავება, მერიი საკუთრებაში ადმინისტრაციული შენობების დასუფთავება. 64 თანამშრომელი</p>
ქვეპროგრამის მიზანი	მუნიციპალიტეტში სუფთა და ჯანსაღი გარემოს პირობების არსებობა

დაგეგმილი შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგების ინდიკატორი		განმარტება
ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი	
პროექტების რაოდენობა	60	65	65	0	

კოდი	პროგრამის დასახელება	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება
03 02		

პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ დმანისის „სერვის ჯგუფი“
პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პარკებისა (რაოდენობა) და სკვერების(რაოდენობა) მოვლა-პატრონობა. კერძოდ, სკვერებსა და გამწვანებულ ტერიტორიებზე ტარდება მწვანე ნარგავების მოვლისა და აღდგენის ღონისძიებები, ნიადაგის მომზადება, დასუფთავება, ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, მორწყვა, შეწამვლა და საჭიროების შემთხვევაში შხამქიმიკატების შეტანა. პროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება ქალაქ დმანისის ტერიტორიის კეთილმოწყობითი და გამწვანებითი ღონისძიებები. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება 2 საშტატო ერთეულის ხელფასის დაფინანსება.
პროგრამის მიზანი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ სკვერებში და პარკებში მოსახლეობისთვის სასიამოვნო, ჯანსაღი გარემოს შექმნა.

დაგეგმილი შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგების ინდიკატორი		განმარტება
ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი	
პროექტების რაოდენობა	28	34	34	0	

კოდი	პროგრამის დასახელება	კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში
03 03		

პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	დმანისის მუნიციპალიტეტის მერია
პროგრამის აღწერა	დასუფთავება ერთ-ერთ მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. შეძენილი ნაგავმზიდი მანქანები და ნაგვის ურნები ვერ აკმაყოფილებს სრულად იმ მოთხოვნებს რაც მუნიციპალიტეტს გააჩნია. აქედან გამომდინარე, პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მყარი ნარჩენების გატანისათვის საჭირო ინვენტარის, ნაგავმზიდი მანქანების და ნაგვის კონტეინერების

	შექმენა, რათა წელს სრულად მოხდეს მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ათვისება.
პროგრამის მიზანი	დმანისის მუნიციპალიტეტში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის ხელშეწყობა

დაგეგმილი შეფასების ინდიკატორი			მიღწეული შედეგების ინდიკატორი		განმარტება
ინდიკატორი	საბაზისო მაჩვენებელი	დაგეგმილი მაჩვენებელი	მიღწეული მაჩვენებელი	ცდომილების მაჩვენებელი	
ნაგვის ბუნკერების რაოდენობა	50	75	75	0	

კოდი	პროგრამის დასახელება	უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები
03 04		

პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ დმანისის კომუნალური სამსახური
პროგრამის აღწერა	<p>პროგრამის ფარგლებში, მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის მიზნით, ხორციელდება დმანისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულებში არსებული მაწანწალა ძაღლების თავშესაფარში გადაყვანა, რომელსაც უზრუნველყოფს ტენდერში გამარჯვებული კომპანია. მიუსაფარი შინაური ცხოველის დაჭერა, დროებით თავშესაფარში განთავსება შემდგომი პროცედურების განხორციელების მიზნით; მიუსაფარ შინაურ ცხოველზე საიდენტიფიკაციო საშუალების განთავსება მიკროჩიპირებით, ან ტატუირებით, ან საჭდით („ბირკით“); საჭიროების შემთხვევაში, სათანადო ვეტერინარული ღონისძიებების განხორციელება: ექიმ-ვეტერინარის ან/და ინოლოგის/ფელინოლოგის მიერ ცხოველის ვიზუალური დათვალიერება-დაკვირვება, ცხოველის ბიომასალის (სისხლის, შარდის, ბეწვის და სხვა) ლაბორატორიული კვლევა, მკურნალობა (დეჰელმინთიზაცია, ვაქცინაცია (მათ შორის „კომპლექსური“, „ანტირაბიული“) და სხვა), ოპერაციების (სტერილიზაცია, კასტრაცია, ყურის კუპირება და სხვა) ჩატარება, ცხოველის ეთანაზაცია; საჭიროების შემთხვევაში, დეზინფექციის, დეზინსექციის, დეზაკარიზაციის და დერატიზაციის ღონისძიებათა განხორციელება; ეთანაზირებული ან დაცემული ცხოველის ლეშის გადატანა შესაბამის ბიოთერმულ ცხოველთა სამარხში (ბეკარის ორმოში), ცხოველის ლეშის დამარხვისთვის გამოყოფილ სპეციალურ ტერიტორიაზე ან კრემატორიუმში; მიუსაფარი შინაური ცხოველის გაჩუქება, მიკედლება, დაინტერესებული პირისთვის დაბრუნება, საჭიროების შემთხვევაში, შემდგომი მოვლა-პატრონობის პირობების კონტროლი;</p> <p>ზემოთ ჩამოთვლილი ვეტერინარული და სხვა ღონისძიებების გატარების შემდგომ, მიზანშეწონილობის შემთხვევაში, ცხოველის (რომელიც არ წარმოადგენს საფრთხეს) ბუნებრივ არეალში ან პირვანდელ საცხოვრებელ ტერიტორიაზე დაბრუნება; საჭიროების შემთხვევაში, სურსათის ეროვნულ სააგენტოს შესაბამისი ტერიტორიულ ორგანოსთვის მიმართავა მიუსაფარი შინაური ცხოველების ვაქცინაციის ჩატარების უზრუნველსაყოფად;</p>
პროგრამის მიზანი	დმანისის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვა, მიუსაფარი შინაური ცხოველების მოვლა-პატრონობა ვეტერინარულ ღონისძიებების გატარების გზით

4. განათლება (04 00)

მომავალი თაობის აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს რომლის ფარგლებშიც ყოველ წლებში ხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება. ასევე დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში ხორციელდება საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირება და სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები, რაზეც დაგეგმილი იყო 2044,1 ათასი ლარი. ფაქტიურ ხარჯმა შეადგინა 2017,7 ათასი ლარი, მათ შორის სკოლამდელი აღზრდის გეგმა -1190,0 ათასი ლარი, საგანმანათლებლო ცენტრის გეგმა 136,0 ათასი ლარი, ხოლო პროფესიული სტუდენტთა ხელშეწყობის 8,0 ათასი ლარი და საჯარო სკოლების დაფინანსების 710,1 ათასი ლარი.

დასახელება		2023 შესრულების ფაქტი	წლის % გეგმასთან
04 00	განათლება	2017,6	98,7
04 01	სკოლამდელი აღზრდა	1188,4	99,9
04 01 01	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების ფუნქციონირება	1188,4	99,9
04 02	პროფესიული განათლების ხელშეწყობა	130,3	95,8
04 02 01	საგანმანათლებლო ცენტრის ხელშეწყობა	130,3	95,8
04 02 02	პროფესიულ სტუდენტთა ხელშეწყობა	6,0	75
04 03	საჯარო სკოლების დაფინანსება	693,0	97,6
04 03 01	სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა	693,0	97,6
04 03 02	ზოგადსაგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის მშენებლობა/რეაბილიტაცია		0

04 0101 სკოლამდელი აღზრდის სამსახური დაფინანსებულია 1188,4 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 1190,0 ათასი ლარის 99%-ი). -ია.; საგანმანათლებლო ცენტრი დაფინანსებულია 130,3 ათასი ლარის ფარგლებში (გეგმიური მაჩვენებლის 136,0 ათასი ლარის 95,8%-ია) ; ხოლო საჯარო სკოლები დაფინანსებულია 693,0 ათასი ლარი (გეგმიური მაჩვენებლის 710,1 ათასი ლარის 97,6 %-ია)..

040101 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ააიპ „დმანისის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სამსახური“.

2023 წლის გეგმა - 1 190 000 ლარი;

დაგეგმილი შუალედური შედეგები:

ეთნიკურად აზერბაიჯანული თემით დასახლებულ სოფელ ამამლოში, კერძოდ საჯარო სკოლაში გაიხსნა სასკოლო მზაობის ორი ჯგუფი, სადაც განათლებას იღებს 50 ბავშვი (4-6 წლის). დასრულდა სოფელ გომარეთის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია. ასევე, დაიწყო სოფელ ამამლოსა და სოფელ ირგანჩაიში 120-120 ბავშვიანი ბაღების მშენებლობა. ქ. დმანისის N2 საბავშვო ბაღში გაიხსნა მეორე ჯგუფი, რომელიც მოემსახურება ქალაქის მიმდებარედ დასახლებულ აზერბაიჯანულ სოფლებს.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სწავლების ხარისხისა და საქმიანობის ეფექტიანობის ასამაღლებლად გადამზადდა დაწესებულების პერსონალი ახალი კურიკულუმის - „ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში“ დანერგვის მიზნით, რომელიც განხორციელდა განათლების სამინისტროსა და მასწავლებელთა სახლის მხარდაჭერით, აგრეთვე ტრენინგი ინკლუზიური განათლების მიმართულებით (მათ შორის ორი არაქართულენოვანი აღმზრდელი).

სკოლამდელი აღზრდის პერსონალმა 2023 წელს გაიარა ტრენინგები თემაზე:

- „განსაკუთრებული საჭიროების ბავშვებთან მუშაობა“ – 156 საათიანი;
- „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურები“;
- „საგანგებო სიტუაციების მართვა და შრომის უსაფრთხოება“;
- „პირველადი (გადაუდებელი) სამედიცინო დახმარება“;
- „სურსათის უვნებლობა და „HACCP““;
- საბავშვო ბაღის მენეჯერებმა 2023 წელს გაიარეს ტრენინგი თემაზე - „საბავშვო ბაღის დირექტორის პროფესიული კომპეტენციების გაძლიერება“.

2023 წელს საბავშვო ბაღებისათვის შეძენილი იქნა:

- სამეურნეო საქონელი - 16 300 ლარი;
- სადღესასწაულო მორთულობები და აქსესუარები - 2 888 ლარი;
- ვიდეომეთვალყურეობის და სახანძრო სისტემის გეგმიური შემოწმება - 5400 ლარი;
- ავეჯი - 19 445 ლარი;
- წიგნები - 3550 ლარი;
- სააღმზრდელო მეთოდოლოგია ახალი კურიკულუმი - 2100 ლარი;
- დიზელი გენერატორებისთვის - 4987 ლარი;
- საკანცელარიო საქონელი - 13577 ლარი;
- კომპიუტერული აქსესუარები - 1880 ლარი;
- საახალწლო საჩუქრები - 7200 ლარი;
- უნიფორმები - 3400 ლარი;
- რბილი ინჟინტარი - 3221 ლარი;

- წყლი ლაბორატორიული კვლევა - 864 ლარი;
- დეზინფექცია დერატიზაცია - 1722 ლარი;
- სატრენინგო მომსახურება - 2250 ლარი;
- საკონსულტაციო მომსახურება - 4000 ლარი;
- ტრანსპორტის ხარჯი - 5050 ლარი;
- ბლუთუზ დინამიკი - 500 ლარი;
- მრავალფუნქციური პრინტერები - 11550 ლარი;

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1. საბაზისო მაჩვენებელი - დასრულდა 1 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია (სოფელ გომარეთში), გაიხსნა ორი სასკოლო მზაობის ჯგუფი (სოფელ ამამლოში), N2 საბავშვო ბაღში დამატა ერთი ჯგუფი და დაიწყო 2 ახალი ბაღის მშენებლობა;

დაგეგმილი მაჩვენებელი - დაგეგმილია 2 ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობის დასრულება, ორი ახალი ჯგუფის დამატება სოფელ სარკინეთის საბავშვო ბაღში 50 აღსაზრდელზე გათვლილი (სოფელ კარაბულახიდან ბავშვების ტრანსპორტირება აღნიშნულ ჯგუფებში), ორი სასკოლო მზაობის ჯგუფის დამატება სოფელ ირგანჩაიში;

მიღწეული მაჩვენებელი - დასრულდა ერთი ბაღის რეაბილიტაცია, გაიხსნა ორი სასკოლო მზაობის ჯგუფი და დამატა ერთი ახალი ჯგუფი. დაიწყო ორი ახალი ბაღის მშენებლობა.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - დაგეგმილი და მიღწეული შედეგები ერთმანეთთან შესაბამისობაშია, მიღწეულია შუალედური შედეგი.

2. საბაზისო მაჩვენებელი - 2023 წლის ბოლოსთვის მოქმედი 9 საბავშვო ბაღი და ორი სასკოლო მზაობის ჯგუფი ემსახურება 375 აღსაზრდელს.

დაგეგმილი მაჩვენებელი - იგეგმება 50 აღსაზრდელის მიღება (სოფელ სარკინეთის საბავშვო ბაღში ორი ჯგუფის დამატებით).

მიღწეული მაჩვენებელი - 9 საბავშვო ბაღი და ორი სასკოლო მზაობის ჯგუფი მოემსახურა 390 - მდე აღსაზრდელს.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე - ნაკლები მოთხოვნა შეიქმნა ბაღებში არსებულ ადგილებზე და არ მოხდა 375-ზე მეტი აღსაზრდელის დარეგისტრირება.

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ა(ა)იპ “დმანისის საგანმანათლებლო ცენტრი“

2023 წლის გეგმა - 136,0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 130,268 ათასი ლარით, რაც გეგმის 95,8 %-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: უზრუნველყოფა დმანისის საგანმანათლებლო ცენტრის შეუფერხებელი ფუნქციონირება და მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობისთვის სახელმწიფო ენისა და ინგლისური ენის შესწავლი ხელმისაწვდომობა

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: შემოწირული თანხით (აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობის კომპანიის SOCAR-ის წარმომადგენლობის მიერ). ცენტრის 2023 წლის წლიური ბიუჯეტი შეადგენს 136000 ლარი ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსებას და 16000 ლარი შემოწირული თანხის სახით (SOCAR)(მათ შორის გასული წლის ნაშთი 7000 ლარი).

2023 წელს ა(ა)იპ ‘საგანმანათლებლო ცენტრი‘ ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა 130268 ლარით. აქედან 82150 ლარი გაცემულია ხელფასის სახით, დანამატი ხელფასის 5530, ხოლო - 42588 ლარი გახარჯულ იქნა საქონელზე და მომსახურებაზე. მათ შორის:

- ხელშეკრულებით დასაქმებულ შტატგარეშე თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება-10440 ლარი;
- ხელშეკრულებით დასაქმებულ შტატგარეშე თანამშრომელთა პრემია-480 ლარი
- ოფისი - კომუნალურები - 28328 ლ
- ტრანსპორტი - (საწვავი, შეკეთება) - 3290 ლ
- მივლინება - 50
- შემოწირული თანხა შეადგენს - 16000 ლარს
- შტატგარეშე თანამშრომლის ხელფასზე - 11960 ლარი და
- ლარი საწვავის და ტრანსპორტის შენახვის ხარჯი - 2413

საანგარიშო პერიოდში (იანვარი - დეკემბერი 2023 ჩათვლით) 2023 წლის ივნისში დამთავრდა ერთწლიანი სასწავლო კურსი შემდეგი მონაცემებით:

- ინგლისური ენის ერთწლიანი კურსი მოისმინა 186 (ქართველი 58, არაქართველი 128). გამოცდა წარმატებით ჩააბარა 128 (ქართველი 31, არაქართველი 98), ვერ ჩააბარა 11 (ქართველი -5, არაქართველი -6).
- ქართული ენის ერთწლიანი კურსი მოისმინა 128 (ქართველი -0, არაქართველი -128) გამოცდაზე გამოცხადდა 101. გამოცდა წარმატებით ჩააბარა 98 , ვერ ჩააბარა -3

2023 წლის სექტემბერში ცენტრში დაიწყო 2023-2024 საწავლო წლის მოსწავლეთა ახალი ნაკადის რეგისტრაცია. სულ დარეგისტრირდა 201 განცხადება: ქართველი 53 (31 გოგო, 22 ბიჭი), არაქართველი 148 (გოგო 79, ბიჭი 69). მხოლოდ ინგლისური ენის კურსის მსმენელთა რაოდენობა შეადგენს 64 (ქართველი 53, არაქართველი 11). მხოლოდ ქართული ენის კურსის მსმენელთა რაოდენობა შეადგენს 3 (ქართველი-0, არაქართველი-3). იმ მსმენელთა რაოდენობა, ვინც ესწრება ერთდროულად როგორც ქართულს ასევე, ინგლისური ენის სასწავლო კურსს შეადგენს 134 (ქართველი -0, არაქართველი 134)

ცენტრი ემსახურება როგორც დმანისელ, ასევე დმანისის მუნიციპალიტეტის სოფლებს (შემდეგი სოფლებიდან: ბაზაქლო, კამარლო, ამამლო, ვაკე, იაღუფლო, ტნუსი, ქვემო ოროზმანი, იფნარი, დაგარახლო).

სოფლებიდან მოსწავლეების ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს ცენტრის ავტობუსი, რომელიც 2013 წელს უსასყიდლოდ გადაეცა ცენტრს აზერბაიჯანის რესპუბლიკის ნავთობკომპანიის SOCAR - ის მიერ. 2023წ სექტემბრიდან დეკემბრამდე ცენტრში შექმნილია სულ 19 ჯგუფი, აქედან ქართულ-ინგლისური ენის ჯგუფების რაოდენობა შეადგენს - 13 , ხოლო ინგლისური ენის ჯგუფების რაოდენობა შეადგენს - 6.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი: 197 მოსწავლე

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

მიღწეული მაჩვენებელი: ინგლისური ენის ერთწლიანი კურსი მოისმინა 186, გამოცდა წარმატებით ჩააბარა 128 მოსწავლემ. ქართული ენის ერთწლიანი კურსი მოისმინა 128, გამოცდა წარმატებით ჩააბარა 98 მოსწავლემ.

04 02 02 პროფესიულ სტუდენტთა ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური

2023 წლის გეგმა - 8 000 ათასი ლარი, დაფინანსდა - 6 000 ლარით, რაც გეგმის 75%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: პროფესიული სტუდენტების დაფინანსების გზით, მუნიციპალიტეტში წახალისებულია პროფესიული სწავლება.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში გამოცხადდა მუნიციპალიტეტის გვერდზე რეგისტრაცია ქვეპროგრამაში ჩართვით დაინტერესებული მოქალაქეებისთვის, განცხადება წარმოადგინა სამმა სტუდენტმა, რომელიც ჩარიცხული იქნა დმანისის მუნიციპალიტეტში მოქმედ შვეიცარიულ-აგრარულ სკოლა „კავკასიაში“, დმანისის მუნიციპალიტეტი დაუფინანსებს სწავლას 50 % ოდენობით. 2022 წლის 6 ივნისიდან დაიწყო სასწავლო პროცესი და დასრულდა სექტემბერში. სულ ქვეპროგრამის „პროფესიულ სტუდენტთა ხელშეწყობა“ ფარგლებში დაფინანსდა 3 პროფესიული დმანისელი სტუდენტი.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს ქვეპროგრამა არ არსებობდა, შესაბამისად არ გვყავდა დაფინანსებული სტუდენტი.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის ზრდა

მიღწეული მაჩვენებელი - ქვეპროგრამით ისარგებლა სამმა სტუდენტმა, აქედან ერთმა უკვე წარმატებით დაასრულა პროფესიული სწავლების კურსი შვეიცარიულ-აგრარულ სკოლა „კავკასიაში“.

განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ შუალედურ შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე
 - არსებული ბიუჯეტის ფარგლებში გაიზარდა პროფესიული სწავლების მიღების შესაძლებლობა ადგილობრივ დონეზე.

5. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი.

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად ერთად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს სპორტული და კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ სპორტული შესაძლებლობების გამოვლენა, რისთვისაც გათვალისწინებულია 2037,6 ათასი ლარი, მათ შორის სპორტის სფეროს განვითარებისათვის 475,8 ათასი ლარი, კულტურის სფეროს განვითარებისათვის 1461,8 ათასი ლარი და რელიგიური ორგანიზაციის ხელშეწყობისთვის 100,0 ათასი ლარი.

პრიორიტეტის/პროგრამების/ქვეპროგრამის /ღონისძიებების დასახელება	სულ 2023 წლის ფაქტი	შესრულების % გეგმის
05 00 კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	2008,8	98,6

05 01	სპორტის სფეროს განვითარება	456,8	96
05 01 01	სპორტული სკოლის ხელშეწყობა	331,0	96
05 01 02	სპორტული ღონისძიებები	125,7	99,9
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	1452,0	99,3
0502 01	კულტურული დაწესებულებების ხელშეწყობა	728,7	99,7
0502 02	სახელოვნებო დაწესებულებების ხელშეწყობა	163,7	99,8
05 02 03	საბიბლიოთეკო სამსახურის ხელშეწყობა	165,9	97,6
05 02 04	კულტურული ღონისძიებები	393,7	99,1
05 03	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	100,0	100
05 04	ინიციატივების თანადაფინანსება	0,0	

05 01 01 სპორტული სკოლის ხელშეწყობა

განმახორციელებელი ორგანიზაცია: ა(ა)იპ „ომარ მუმლაძის სახელობის დმანისის სპორტული სკოლა“.

2023 წლის გეგმა შეადგენდა 350 000 ლარს, ფაქტმა შეადგინა 315 854 ლარი, გეგმა შესრულდა 90 %-ით.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: უზრუნველყოფილია სპორტული სკოლის სექციების გამართული ფუნქციონირება

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: საანგარიშო პერიოდში ა(ა)იპ „ომარ მუმლაძის სახელობის დმანისის სპორტული სკოლის“ ფუნქციონირებისათვის გაიხარჯა 315 854 ლარი, რომელიც მოხმარდა: შრომის ანაზღაურებას, კომუნალური ხარჯებს, ტრანსპორტის ხარჯს და ა.შ.

ა(ა)იპ „ომარ მუმლაძის სახელობის დმანისის სპორტულ სკოლაში“ 2023 წელს ირიცხებოდა 249 მოზარდი, მათ შორის გოგო-215, ბიჭი - 34; აზერბაიჯანელი 84, ქართველი - 165. დასაქმებულია 21 თანამშრომელი: 4 ქალი, 17 მამაკაცი.

2023 წელს სპორტული სკოლის აღსაზრდელებმა მონაწილეობა მიიღეს 43 სხვადასხვა ღონისძიებაში, გაიხარჯა 30 005 ლარი.

ღონისძიებების ფარგლებში სკოლას ჰყავს 17 პირველი ადგილის მფლობელი, 10 მეორე ადგილის მფლობელი, 19 მესამე ადგილის მფლობელი სპორტსმენი. გუნდურ შეჯიბრებებში პირველი ადგილი მოიპოვეს სამჯერ.

ღონისძიებები:

- ანზორ მარგველანის ხსოვნის ტურნირი ჭიდაობა-ძიუდო - მესამე ადგილი;
- საქართველოს ჩემპიონატის სალიცენზიო შეჯიბრი ძიუდო - ლიცენზია მოიპოვა ლუკა მურღვლიანმა;
- საქართველოს ჩემპიონატი ჭაბუკებს შორის 90კგ;
- ბოლნისის მუნიციპალიტეტის ღია პირველობა უმცროს ასაკში ძიუდო- ორი პირველი ადგილი, სამი მეორე ადგილი;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ღია პირბელობა ძალოსნობაში;
- პეტრე ჯაოშვილის სახელობის ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში - ორი მესამე ადგილი;
- ფესტივალი ფეხბურთში 2013-2015 წლიანები;
- ფესტივალი ფეხბურთში 2010-2011- პირველი ადგილი;
- საქართველოს პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში - მესამე ადგილი;
- ფერიაშვილის სახელობის ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში - მესამე ადგილი;
- დინამოს აკადემიის ფესტივალები;
- ალიბეგაშვილის სახელობის ღია ტურნირი;
- საქართველოს ჩემპიონატი ძალოსნობაში;
- ქვემო ქართლის პირველობა ფრენბურთში (გოგონები) - მეოთხე ადგილი;
- დავით ნავერიანის ხსოვნის ტურნირი ძიუდო - ორი სპორტსმენი გახდა მეორე ადგილის მფლობელი;
- აჭარის ღია ჩემპიონატი „ შავი ზღვის ვარსკვლავები 2023“ ფრენბურთი - გუნდმა მოიპოვა პირველი ადგილი;
- შეკრება ფეხბურთში;
- მალხაზ კუმლაშვილის ხსოვნის ტურნირი ჭიდაობა - მეორე ადგილოსანი ერთი, მესამე ადგილოსანი ორი სპორტსმენი;
- მურად დოხტურიშვილის ხსოვნის ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში - 1 პირველი ადგილი, 1 მესამე ადგილი;

- რუსთავის მერიის თასი ფრენბურთში - მეოთხე ადგილი;
- მერაბიშვილის სახელობის ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში - ერთი საპრიზო ადგილი;
- ქვემო ქართლის ღია რეგიონალური ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში - ორი პირველი და ერთი მესამე ადგილი;
- შოთა ლომიძის სახელობის რესპუბლიკური ტურნირი ჭიდაობა - მესამე ადგილი;
- საქართველოს ჩემპიონატი კიკბოქსინგში - სამი პირველი ადგილი, ორი მეორე ადგილი;
- ფეხბურთის ტურნირი დინამოს აკადემიაში - პირველი ადგილი;
- ზარიბეგ ბერიაშვილის ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში - მესამე ადგილი;
- აკაკი ქუჭიშვილის ტურნირი - მესამე ადგილი;

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1. საბაზისო მაჩვენებელი - 2022 წელს ჩატარდა 23 ღონისძიება.

დაგეგმილი მაჩვენებელი - საბაზისო მაჩვენებლის ზრდა.

მიღწეული მაჩვენებელი 2023 წელს ჩატარდა 43 ღონისძიება.

05 01 02 სპორტული ღონისძიებები

განმახორციელებელი ორგანიზაცია: დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური

2023 წლის გეგმა - 25 800 ათასი ლარი, გაიხარჯა - 25 747 ლარით, რაც გეგმის 98%-ია.

დაგეგმილი შუალედური შედეგები: უზრუნველყოფილია სპორტული ტურნირებისა და შეჯიბრებების ჩატარება და ხელშეწყობილია მოსახლეობის ჩართულობა მასობრივ სპორტულ ღონისძიებებში.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები: ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტში საზოგადოების ყველა წევრის, მათ შორის ქალების, კაცების, შშმ პირების და სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენელი მოსახლეობის ინტერესის გათვალისწინებით, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციის მიზნით ჩატარდა შემდეგი სპორტული ღონისძიებები:

• სპორტის საერთაშორისო დღე (5-6) აპრილი - ტურნირი მკლავჭიდში(გოგონები, ბიჭები) - მონაწილეობა მიიღო 100 მდე დმანისელმა ახალგაზრდამ. გამარჯვებულებს გადაეცათ სიგელები, მედლები და თასი.

• ფრენბურთის ტურნირი - 16-17 მაისს გაიმართა სკოლის მოსწავლეთა შორის ტურნირი, რომელშიც მონაწილეობას იღებდა 13-18 წლის 150 მდე ახალგაზრდა.

